

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

პირველი სექცია

საბალიჩი ხორვატიის წინააღმდეგ

(განაცხადი N 50231/13)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

მომზადებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ.

სტრასბურგი

14 იანვარი, 2021 წელი

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

შესავალი

ძალადობრივი ჰომოფობიური თავდასხმის გამო პირის წინააღმდეგ სამართალწარმოების დაწყება ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლით, შეუწყნარებლობის მოტივის არსებობის გამოძიების გარეშე; *ne bis in idem* პრინციპის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტა: *დარღვევა.*

ფაქტობრივი გარემოებები

მას შემდეგ, რაც მომჩივანმა საკუთარი სექსუალური ორიენტაცია გაუმჟღავნა მ.მ.-ს, ეს უკანასკნელი განმცხადებელს თავს დაესხა და მიაყენა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებები. პოლიციამ მ.მ.-ს წინააღმდეგ საქმის წარმოება დაიწყო ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევის - საზოგადოებრივი სიმშვიდის და წესრიგის დარღვევის საფუძველზე და მ.მ.-ს დააკისრა ჯარიმა მიახლოებით 40 ევროს ოდენობით. მას შემდეგ, რაც გააანალიზა, რომ პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრა მ.მ.-ს წინააღმდეგ, განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა სახელმწიფო ბრალმდებლის ოფისში. საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ მიზეზით, რომ მ.მ.-ს მიმართ დევნა უკვე განხორციელდა ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევის საფუძვლით და რომ მისი სისხლისსამართლებრივი დევნა შეეწინააღმდეგებოდა *ne bis in idem* პრინციპს.

სამართლებრივი შეფასება

კონვენციის მე-14 მუხლი (მე-3 მუხლთან ერთობლიობა):

(ა) ფარგლები

განმცხადებელი დავობდა, რომ მის მიმართ განხორციელებულ ძალადობას ჰქონდა ჰომოფობიური მოტივი, რასაც სახელმწიფო ორგანოებმა სათანადო ყურადღება არ მიაქცია. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის განხილვის გაგრძელების ყველაზე შესაფერისი გზა იქნებოდა მისი განსჯა კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების ერთობლიობის კონტექსტში.

(ბ) რეაგირება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან

ეროვნული სამართლებრივი სისტემა მოიცავდა სისხლისსამართლებრივ მექანიზმებს ფიზიკური პირების სიძულვილის მოტივით ჩადენილი ძალადობისგან დასაცავად. თუმცა, ევროპულ სასამართლოს არ დასჭირდა ამ სამართლებრივი ჩარჩოს შესწავლა, რამდენადაც განმცხადებლის საჩივარი უფრო პროცედურული ხასიათის იყო.

პოლიციამ დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება შემთხვევის ადგილზე და საწყის ეტაპზევე დაასკვნა, რომ იკვეთებოდა სიძულვილის მოტივით ჩადენილი, ან, სულ მცირე, ისეთი ძალადობრივი დანაშაული, რომელზეც გავლენა იქონია განმცხადებლის სექსუალურმა ორიენტაციამ. ეროვნულ დონეზე სამართალწარმოების ფარგლებში, აღნიშნული მიგნებები ეჭვქვეშ არ დამდგარა სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ეს იძლევა იმ ეროვნული სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანი გამოყენების საშუალებას, რომლებსაც შეუძლია ჰომოფობიური ობერტონის მქონე სიძულვილის მოტივის გამოვლენა ძალადობრივი ინციდენტების მიღმა, მათი

იდენტიფიცირება და, საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირის სათანადოდ დასჯა. ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოთი გათვალისწინებული პროცედურების თანახმად, პოლიციას მოეთხოვებოდა სისხლისსამართლებრივი საჩივრის წარდგენა პროკურატურაში, რომელსაც გააჩნია ოფიციალური გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება სიძულვილის მოტივით ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით იმ შემთხვევაშიც, როდესაც დანაშაულს შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის მხოლოდ ნაკლებად მძიმე დაზიანება. ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების, ძალადობრივი ქმედების და ადამიანის უფლებათა დისკრიმინაციული მოტივით დარღვევის მცდელობის ეპიზოდები *ex officio* მოითხოვს გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ელემენტის არარსებობის შემთხვევაშიც. ამ ნორმებზე დაყრდნობით, პროკურატურამ დაიწყო ოფიციალური გამოძიება. შესაბამისად, ეჭვქვეშ არც კი დამდგარა, რომ პოლიციას ჰქონდა შემთხვევის შესახებ პროკურატურაში განცხადების წარმოდგენის ვალდებულება, რომელიც მან არ შეასრულა.

ამის ნაცვლად, პოლიციამ მსვლელობა მისცა ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევის საქმეს, საზოგადოებრივი სიმშვიდის და წესრიგის დარღვევის საფუძვლით. ეს არანაირად არ ეხებოდა სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ელემენტს, რომელიც ამ ფიზიკურ თავდასხმას ახლდა. ამასთან, მ.მ.-სთვის ბრალი არ წაუყენებიათ დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ძალადობის გამო. გარდა ამისა, მ.მ.-ს დაეკისრა აბსურდულად მცირე, მიახლოებით 40 ევროს ოდენობის ჯარიმა. ევროპული სასამართლო თვალთახედვის მიღმა ვერ დატოვებს იმ ფაქტს, რომ გამოყენებული სანქცია ცალსახად არ იყო განმცხადებლის მიერ განცდილი არასათანადო მოპყრობის სიმძიმის პროპორციული. ეს დასკვნა გაკეთდა პროკურატურის მიერ მოთხოვნილ სასჯელებთან - რომლებიც თავისუფლების აღკვეთას მოიცავდა - შედარების გზით.

მთლიანობაში, ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევასთან დაკავშირებული სამართალწარმოება არ წარმოადგენდა უფლებამოსილი ეროვნული ორგანოების ადეკვატურ რეაგირებას, რომელიც თანხვედრაში იქნებოდა სახელმწიფოს მიერ კონვენციის შესაბამისად გაზიარებულ სულისკვეთებასთან - უზრუნველყოს, რომ ჰომოფობიური ნიშნით არასათანადო მოპყრობა არ დარჩეს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან რეაგირების გარეშე და ეფექტიანად დაიცვას განმცხადებელი სექსუალური ორიენტაციის ნიშნით განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შემთხვევებისგან. ამ ტიპის წარმოება შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს მხრიდან ისეთ რეაგირებად, როგორიც ხელს უწყობს დაუსჯელობის შეგრძნების ზრდას სიძულვილის მოტივით ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების კონტექსტში, ნაცვლად იმისა, რომ იყოს ასეთი შემთხვევების მიმართ შეუწყნარებლობის მაჩვენებელი პროცედურული მექანიზმი.

(გ) ne bis in idem პრინციპი (მე-7 ოქმის მე-4 (2) მუხლი)

პროკურატურამ და მოპასუხე სახელმწიფოს სასამართლომ, *სერგეი ზოლოტუხინის* და *მარესტის* საქმეებზე დაყრდნობით, მიიჩნია, რომ მ.მ.-ს ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევის ჩამდენად ცნობამ წარმოშვა ფორმალური წინაღობა სიძულვილის მოტივით ჩადენილი ძალადობის ჩადენის გამო მისი სისხლისსამართლებრივი დევნისთვის, *ne bis in idem*

პრინციპის საფუძველზე. მოპასუხე სახელმწიფო მიუთითებდა, რომ ამ პრინციპის დაცვის ვალდებულება წარმოადგენდა ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი მექანიზმის გამოუყენებლობის გამამართლებელ არგუმენტს.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ორგანოებმა საჭიროების გარეშე, თავად გამოიწვიეს ასეთი სიტუაცია სრულიად არაეფექტიანი სამართალწარმოების დაწყებით, რის გამოც მათ მოისპეს რელევანტური ნორმების და ეროვნული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მოთხოვნების პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობა.

ძალადობრივი თავდასხმის მიღმა შეუწყნარებლობის მოტივების გამოუძიებლობა და ამ მოტივთა გაუთვალისწინებლობა სიძულვილის მოტივით ჩადენილი ძალადობისთვის სასჯელის შეფარდებისას წარმოადგენს სამართალწარმოებაში გამოვლენილ „არსებით დარღვევებს“ მე-7 ოქმის მე-4(2) მუხლის მიზნებისთვის. ეროვნულმა ორგანოებმა ვერ შეძლეს ამ სიტუაციის გამოსწორება, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის არ არსებობდა *de jure* წინააღმდეგობა. უფრო კონკრეტულად, მათ განმცხადებელს ვერ შესთავაზეს სათანადო მისაგებელი, მაგალითისთვის, სამართალწარმოების გაუმართლებელი შეწყვეტის, მისი შედეგების გაუქმების ან ბათილად ცნობის და საქმის ხელახალი განხილვის გზით.

(დ) შეჯამება

ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევასთან დაკავშირებული სამართალწარმოების დაწყებით და, შედეგად, ფორმალური მიზეზებით სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტით ეროვნულმა ორგანოებმა სათანადოდ და ეფექტიანად ვერ შეასრულეს კონვენციის შესაბამისად ნაკისრი პროცედურული ვალდებულება, რომელიც უკავშირდებოდა განმცხადებლის წინააღმდეგ მისი სექსუალური ორიენტაციის ნიშნით განხორციელებულ ძალადობრივ თავდასხმას. სახელმწიფო ორგანოების ასეთი ქცევა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ვალდებულებას - ებრძოლოს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა დაუსჯელობას, რაც განსაკუთრებით აზიანებს ადამიანის ძირითად უფლებებს.

დასკვნა: *დარღვევა (ერთხმად)*

კონვენციის 41-ე მუხლი: 10 000 ევრო მორალური ზიანისთვის.

(იხ. ასევე: Sergey Zolotukhin v. Russia [GC], 14939/03, 10 February 2009, Information Note 116; Maresti v. Croatia, 55759/07, 25 June 2009)